დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა

მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისა და მათი თანმხლები პირების ქ. ბათუმის კლინიკა შპს „უნიმედ აჭარასა“ და ქობულეთის რეგიონალურ საავადმყოფოში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას.

პროგრამაში ჩასართველად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. **განცხადება;**
2. **პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, თუ ბენეფიციარი არასრულწლოვანია დაბადების მოწმობა და მშობლის ან მეურვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**
3. **სამედიცინო ფორმა № IV-100/ა (დედანი);**
4. **საბანკო რეკვიზიტები.**